სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-04/76 9.09. 2022 წ.

2022-2023 სასწავლო წელს დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველთათვის სარეგისტრაციო საბუთების ნუსხის დამტკიცების, სარეგისტრაციო ვადებისა და მისაღები საუნივერსიტეტო გამოცდის თარიღის განსაზღვრის შესახებ

2022-2023 სასწავლო წლისათვის სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველმა კანდიდატებმა უნდა წარმოაგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებისა და მისაღებ საუნივერსიტეტო გამოცდებში მონაწილეობის მიღების სურვილის შესახებ (ივსება ადგილზე);
2. ვტობიოგრაფია (CV):
3. 2 ცალი ფოტოსურათი ზომებით 3×4;
4. პირადობის მოწმობის ასლი (წარმოდგენილი უნდა იქნას დედანთან ერთად);
5. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი, დამოწმებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აპოსტილით. აპოსტილით დამოწმებული დიპლომის არქონის შემთხვევაში დოქტორანტურაში ჩაბარების მსურველმა უნდა წარმოადგინოს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ან ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ გაცემული ცნობა. საბუთების მიღებიდან 6 თვის განმავლობაში დოქტორანტურაში ჩარიცხულმა პირმა უნდა წარმოადგინოს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან აპოსტილით დამოწმებული დიპლომი, წინააღმდეგ შემთხვევაში დოქტორანტს შეუჩერდება სტატუსი;
6. დიპლომის დანართი და ნიშნების ფურცელი;
7. სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაცია;
8. რეფერატი ან პუბლიკაცია, რომელიც სამეცნიერო ხელმძღვანელის ნებართვით შეიძლება ჩაითვალოს რეფერატად;
9. სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულ პირთათვის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმეტის ასლი, მისივე დედნის წარდგენით
10. დოქტორანტურაში მისაღებ საუნივერსიტეტო გამოცდაში მონაწილეობის საფასურის - 40 ლარის გადახდის ქვითარი; (საბანკო რეკვიზიტები: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი; მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა; მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი - TRESGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 709057267).

11. საბუთების მიღება იწარმოებს 2022 წლის 19 სექტემბრიდან 24 სექტემბრის ჩათვლით სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ სარეგისტრაციო კომისიაში. მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის ქ. 59, აწსუ I კორპუსი, II სართული, ოთახი № 1211. 10 საათიდან 17 საათამდე, ყოველ დღე.

12. მისაღები საუნივერსიტეტო გამოცდები ჩატარდება 2022 წლის 27 და 28 სექტემბერს. სააპელაციო განცხადებების მიღება იწარმოებს 2022 წლის 29 სექტემბერს. სააპელაციო განცხადებების განხილვა იწარმოება 30 სექტემბერს. ხელშეკრულებების გაფორმება იწარმოებს 3 ოქტომბრიდან 7 ოქტომბრის ჩათვლით.

საფუძველი: აკადემიური საბჭოს 2021 წლის 21 მაისის დადგენილება № 32 (20/21) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ".

რექტორი: **პროფ. როლანდ კოპალიანი**

სასწავლო პროცესის მართვის
სამსახურის უფროსი — პროფ. იმერი ბასილაძე